

შპს “ქარვასლა”

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
31 დეკემბერი, 2018 წელი**

შინაარსი

ამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	-3-
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	-5-
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	-6-
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	-7-
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	-8-
შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე	-9-

დანართი 1 - ჯგუფური ერთეულების (სათავო/შვილობილი კომპანიების) ფინანსური მდგომარეობის თაობაზე შედგენილი ცალკეული ანგარიშგებები.....i

დანართი 2 - ჯგუფური ერთეულების (სათავო/შვილობილი კომპანიების) სრული შემოსავლის თაობაზე შედგენილი ცალკეული ანგარიშგება.....ii

დანართი 3 - ჯგუფური ერთეულების (სათავო/შვილობილი კომპანიების) ფულადი სახსრების მოძრაობის თაობაზე შედგენილი ცალკეული ანგარიშგებები.....iii

Bakertilly ბეიკერტილი

BC Menteshvili rows

ბამბის რიგი 7

0105 თბილისი, საქართველო

ტელ: +955 322 438 999

office@bakertilly.ge

www.bakertilly.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ქარვასლას მფლობელებს

მოსაზრება

ჩვენ განვახორციელეთ შპს ქარვასლას (ჯგუფი) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი (გვერდები 5-დან 24-მდე), რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრისათვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე შეიცავს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გვერდები (გვერდები 5-დან 24-მდე), ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს).

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში ტექსტში ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

გამოყენების შეზღუდვა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მხოლოდ ხელმძღვანელობისთვის და ჯგუფის მფლობელებისთვის, ის არ უნდა იქნეს სხვა პირის მიერ გარდა მითითებული მხარეებისა.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა
კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე და ხელმძღვანელობის წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომებით გამოწვეულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

გამოგვქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის, პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, შეიძლება, ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის სათანადო აუდიტის მონაცემებს ჯგუფში შემავალი ერთეულების ფინანსური ინფორმაციის ან საქმიანობის შესახებ, რათა გამოვთქვათ აზრი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ჯგუფური აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ ვართ განსაკუთრებულად პასუხისმგებელი ჩვენი აუდიტის მოსაზრებაზე.

ჩვენ გვაქვს კომუნიკაცია დირექტორებთან, სხვა საკითხებთან ერთად, აუდიტის დაგეგმილ ფარგლებსა და დროს შერჩევასთან და აუდიტის მნიშვნელოვან დასკვნებთან დაკავშირებით, შიდა კონტროლისას ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის ჩათვლით, რომელსაც ჩვენ აუდიტის დროს გამოვავლენთ.

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯიას სახელით

/ხელმოწერილია/

ბესიკ ბისეიშვილი, პარტნიორი

8 თებერვალი, 2019 წელი

თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	31.12.2018	31.12.2017
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
მაინვესტიციო ქონება (შენიშვნა 4)	18,296,417	18,076,091
ქონება და ზღუდვადობა (შენიშვნა 5)	1,253,606	1,276,100
სულ გრძელვადიანი აქტივები	19,550,023	19,352,191
მოკლევადიანი აქტივები		
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები (შენიშვნა 6)	14,011	19,634
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (შენიშვნა 7)	413,400	385,545
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები (შენიშვნა 8)	436,309	803,266
სულ მოკლევადიანი აქტივები	863,719	1,208,445
სულ აქტივები	20,413,742	20,560,636
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი (შენიშვნა 10)	10,722,503	23,609,487
აკუმულირებული ზარალი	(1,406,031)	(3,559,943)
სულ საკუთარი კაპიტალი	9,316,472	20,049,544
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი ნასესხები საშუალებები (შენიშვნა 11)		9,918,247
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		9,918,247
მოკლევადიანი ვალდებულებები		
მიმდინარე ნასესხები საშუალებები (შენიშვნა 11)		807,219
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება (შენიშვნა 9)	371,804	511,092
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1,179,023	511,092
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	20,413,742	20,560,636

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ მოცემული თარიღით და ხელმოწერილია მისი სახელით:

/ხელმოწერა/

8 თებერვალი, 2019 წელი

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება		
	31.12.2018 დასრულებული წლისათვის	31.12.2017 დასრულებული წლისათვის
შემოსავალი (რენტის შემოსავალი)	3,556,016	3,189,689
ხელფასები	(866,359)	(829,678)
მარკეტინგი და პრემიუმები	(85,502)	(111,269)
დედა და ამორტიზაცია (შენიშვნა 4, შენიშვნა 5)	(454,986)	(433,259)
ოფისის მართვა და კომუნალური მომსახურება	(598,041)	(678,690)
უსაფრთხოება	(168,642)	(168,338)
საგადასახადო ხარჯები	(194,511)	(234,940)
სხვა შემოსავალი (შენიშვნა 12)	1,419,501	2,005,585
სხვა ხარჯები (შენიშვნა 13)	(457,132)	(955,929)
ოპერაციული მოგება	2,150,343	1,783,171
ფინანსური ხარჯები, ნეტო (შენიშვნა 14)	3,569	30,566
მოგება საშემოსავლო გადასახადამდე	2,153,912	1,813,736
საშემოსავლო გადასახადის მოგება	-	-
მიმდინარე წლის მოგება	2,153,912	1,813,736
მიმდინარე წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-
სულ მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	2,153,912	1,813,736

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ მოცემული
თარიღით და ხელმოწერილია მისი სახელით:
/ხელმოწერა/

8 თებერვალი, 2019 წელი

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება		
	31.12.2018 დასრულებული წლისათვის	31.12.2017 დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრების მოძრაობა ოპერაციული საქმიანობიდან		
რენტის მიღებული ფულადი სახსრები	4,162,713	3,717,182
მომხმარებლებიდან მიღებული სხვა ფულადი სახსრები	1,454,900	1,615,391
მომწოდებლებისათვის და მომუშავეებისთვის გადახდილი		
ფულადი სახსრები	(3,145,294)	(2,860,196)
ოპერაციული საქმიანობიდან ფულადი სახსრების შემოსვლა	2,472,319	2,472,376
გადახდილი პროცენტი	-	(29,852)
გადახდილი საშემოსავლო გადასახადი	-	(25,000)
ოპერაციული საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო		
ფულადი სახსრები	2,472,319	2,417,524
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
გადახდილი კაპიტალი	(10,224,384)	
გრძელვადიანი აქტივების შეძენა და განვითარება	(682,016)	(1,633,385)
გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები	-	-
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული		
ნეტო ფულადი სახსრები	(10,906,400)	(1,633,385)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
შემოსავლები საბანკო სესხებიდან	7,987,800	256,657
საბანკო სესხების დაფარვა	-	(594,125)
საპროცენტო შემოსავალი	85,856	11,720
საფინანსო საქმიანობით წარმოქმნილი (გამოყენებული)		
ნეტო ფულადი სახსრები	8,073,656	(325,748)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების ნეტო ზრდა (შემცირება)	(360,424)	458,391
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	803,266	349,511
სავალუტო კურსის რყევების ეფექტი	(6,534)	(4,636)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	436,309	803,266

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ მოცემული თარიღით და ხელმოწერილია მისი სახელით:
/ხელმოწერა/

8 თებერვალი, 2019 წელი

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

	გადახდილი კაპიტალი	კაპიტალის რეზერვი	აკუმულირებული ზარალი	სულ
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	23,609,487	-	(5,373,679)	18,235,808
ხელ სრული შემოსავალი	-	-	1,813,736	1,813,736
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	23,609,487	-	(3,559,943)	20,049,544
ხელ სრული შემოსავალი	-	-	2,153,912	2,153,912
ამოღებული კონტრიბუცია	(12,886,984)	-	-	(12,886,984)
ცალმხრივი გზავნილები (შენიშვნა 10)	(4,760,276)	4,760,276	-	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	5,962,227	4,760,276	(1,406,031)	9,316,472

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ მოცემული
თარიღით და ხელმოწერილია მისი სახელით:
/ხელმოწერა/

8 თებერვალი, 2019 წელი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

მუხლი I. ზოგადი ინფორმაცია

ქრეასლა რეგისტრირებულია თბილისში, საქართველო. კომპანია ფლობს სავაჭრო ცენტრს - მოლს თბილისში. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა კომერციული ფართის გაყიდვა და იჯარით გაცემა თბილისში. ჯგუფის უშუალო მშობელია ქრეასლა ბი. ვი. რომელიც აკონტროლებს აქციონერთა 58% ხმას. საბოლოოდ ჯგუფს ფლობს ფიზიკურ პირთა ჯგუფი, რომლებიც არიან ნიდერლანდების მოქალაქეები.

მუხლი 2. ოპერირების გარემო

ჯგუფის ძირითადი ბიზნესი საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ფარგლებს შიგნით. საქართველო აგრძელებს განვითარებადი მარკეტინგის გარკვეული მახასიათებლების ჩვენებას. საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას და ხელს უწყობს იმ გამოწვევებთან გამკლავებას, რომლის წინაშეც დგას საქართველოში მოქმედი კომპანიები. ხელმძღვანელობას არ შეუძლია დანამდვილებით განსაზღვროს ყველა ის მოვლენები, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე და, შესაბამისად, რა გავლენა შეიძლება იქონიოს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ჯგუფის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება დიდწილად არის დამოკიდებული მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი ზომების ეფექტურობაზე, ასევე საგადასახადო, სამართლებრივი, მარეგულირებელი და პოლიტიკური სისტემების განვითარებაზე. ხელმძღვანელობა თვლის, რომ ის იღებს ყველა საჭირო ზომას ჯგუფის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

მუხლი 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება

ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

3.1. მომზადების საფუძველი

მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასს-IFRS) და ფასს-ის ინტერპრეტაციების კომიტეტის (ფასს იკ-IFRS IC) ინტერპრეტაციების შესაბამისად, რომლებსაც იყენებენ ის კომპანიები, რომლებიც წარადგენენ ანგარიშგებას ფასს-ის სტანდარტების შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ფასების კონვენციის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ის შესაბამისად, მოითხოვს გარკვეული კრიტიკული აღრიცხვის შეფასებების გამოყენებას. ის ასევე მოითხოვს, რომ ხელმძღვანელობამ იხელმძღვანელოს საკუთარი მსჯელობით ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობას ან სირთულეს, ან ის სფეროები, სადაც ვარაუდები და შეფასებები მნიშვნელოვანია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის, მოცემულია 3.21-ში.

3.2. კონსოლიდაცია

(ა) ქვეკომპანიები (შვილობილი კომპანიები)

კომპანიები - ეს არის კომპანია ერთეული (სპეციალური დანიშნულების კომპანიების რომლებზეც ჯგუფს აქვს ფინანსური და საექსპლუატაციო პოლიტიკის გამოყენებით მართვის უფლება, რა დროსაც აქციების ფლობას თან ახლავს ხმის უფლების ნახევარზე მეტი. მათში კენჭისყრის უფლების არსებობა და გავლენა, რომელიც ამჟამად შესაძლოა იქნეს შენახული ან კონვერტირებადი, მხედველობაში მიიღება, როდესაც ხდება შეფასება, აკონტროლებს ჯგუფი სხვა კომპანიებს. კომპანიები ჰრუღადაა კონსოლიდირებული იმ დღიდან, როდესაც მხედველობის უფლება ჯგუფს გადაეცემა. ისინი დეკონსოლიდირებულია იმ დღიდან, როდესაც მხედველობა შეჩერდება.

18 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს „ქარვასლა“ ფლობდა შემდეგ ქვეკომპანიებს:

ქვეკომპანიები	საკუთრების უფლება	მირითადი საქმიანობა	რეგისტრაციის ქვეყანა
შპს ქარვასლა მენეჯმენტ თბილისი	100%	მოლის მენეჯმენტი	საქართველო
შპს ქარვასლა რეალტორი	51%	უმოქმედო	საქართველო

ბუღალტრული აღრიცხვის შესყიდვის მეთოდი გამოიყენება ჯგუფის მიერ ქვეკომპანიების შემენის აღრიცხვისას. შენაძენის ღირებულება განისაზღვრება, როგორც მოცემული აქტივების რეალური ღირებულება, გაცემული საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტები და ვალდებულებანი, რომლებიც წარმოიქმნა ან აღებულ იქნა გაცვლის დღეს, აგრეთვე ხარჯები, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია შენაძენთან. შემენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ვალდებულებანი, აგრეთვე პირობითი ვალდებულებანი, რომლებიც წარმოიქმნება ბიზნესის კომბინაციის შედეგად, თავდაპირველად განისაზღვრება რეალური ღირებულების მიხედვით შემენის დროს, მიუხედავად უმცირესობის ნებისმიერი ინტერესის არსებობისა. შემენის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების ჯგუფის წილის რეალურ ღირებულებაზე შემენის ღირებულების გადაჭარბება აღირიცხება გუდვილის სახით. თუ შენაძენის ღირებულება ნაკლებია ვირე შემენილი ქვეკომპანიის წმინდა აქტივების რეალური ღირებულება, განსხვავება აღიარებულია უშუალოდ შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანიათაშორისი ოპერაციები, ნაშთები და არარეალიზებული შემოსავლები ტრანზაქციებზე კომპანიების ჯგუფებს შორის უქმდება. ასევე უქმდება არარეალიზებული ზარალიც, მაგრამ მიიჩნევა გადაცემული აქტივის გაუფასურების მაჩვენებლად. ქვეკომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა იცვლება საჭიროებისამებრ ჯგუფის მიერ მიღებულ პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

(ბ) ტრანზაქციები და უმცირესობის ინტერესები

ჯგუფში შედის შპს ქარვასლა (მშობელი) და მისი შვილობილი კომპანიები.

უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად მუხლები განისაზღვრება, იმ პერიოდის ეკონომიკური გარემოს ვალუტის გამოყენებით, რომელშიც კომპანია ოპერირებს ("სამუშაო ვალუტა", რომელიც ჯგუფის ყველა კომპანიისთვის ქართული ლარია). კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (ლარი), რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ოფიციალური გაცვლითი კურსი, როგორც ეს განსაზღვრა თბილისის ბანკთაშორისი ვალუტის გაცვლამ, ქართულ ლარსა და აშშ-ს დოლარს შორის იყო:

2017 წლის 31 დეკემბერს	2.5922
2018 წლის 31 დეკემბერს	2.6766

(ბ) ტრანსაქციები და ნაშთები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში, ან ზარალში როგორც ფინანსური შემოსავალი, ან ხარჯი. უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებული არაფულადი მუხლები, მათ შორის წილობრივი ინსტრუმენტი, გადაიანგარიშება იმ გაცვლითი კურსების მიხედვით, რომელიც არსებობდა მათი რეალური ღირებულებით შეფასების დროს. უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე გაცვლითი კურსის ცვლილებების ზეგავლენა აისახება როგორც რეალური ღირებულების შედეგად მიღებული შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

3.4. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება წარმოადგენს ჯგუფის ძირითად საექსპლუატაციო აქტივს - სავაჭრო ცენტრი "ქარვასლა", რომელიც მდებარეობს მისამართზე: საქართველო, თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. №7. ჯგუფი ამჟამად ფლობს შენობების მთელი ფართობის დაახლოებით 70 პროცენტს, რომელის დიდი ნაწილი ქირავნობის შემოსავლის გამომუშავებისთვის გამოიყენება.

შემოსავლის გამომუშავებისთვის განსაზღვრული ტერიტორია აღიარებულია როგორც საკუთრების საკუთრება ბასს 40-ის (IAS) 40 შესაბამისად და ჯგუფმა აირჩია ხარჯის მოდელი აქტივის აღიარებად. ამასთან, ქონების დამოუკიდებელი შეფასება განხორციელდა 2013 წლის 31 დეკემბერს და დადასტურდა გამოიყენა ფასს 1-ით (IFRS 1) გათვალისწინებული ოპციონი, რათა განეხილა სახარტაღრიცხვო ლირებულება როგორც სავარაუდო ღირებულება აქტივისა. ამრიგად, საინვესტიციო საკუთრების თვითღირებულება განისაზღვრება ნაკლებად დაგროვილი ცვეთის გათვალისწინებით და ამის ამორტიზაცია ხდება 45 წლიანი დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდის საშუალებით.

3.5. ქონება და აღჭურვილობა (ძირითადი საშუალებები)

ტექნიკა და სატრანსპორტო საშუალებები წარმოდგენილია ისტორიული ფასით ნაკლები ცვეთის გათვალისწინებით. ისტორიული ღირებულება მოიცავს ხარჯებს, რაც პირდაპირ მიეწერება ნივთების შეძენას / მონტაჟს.

შენობები წარმოადგენს საკუთარი სარგებლობისთვის დაცულ სივრცეს "ქარვასლას" სავაჭრო ცენტრში. ისევე როგორც საინვესტიციო ქონების შემთხვევაში, 2013 წლის 31 დეკემბერს დამოუკიდებელი შეფასებით შეფასებული სამართლიანი ღირებულება ჩაითვალა როგორც სავარაუდო ღირებულება ფასს 1-ის (IFRS 1) შესაბამისად.

ქონება და აღჭურვილობა ამორტიზებულია მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის საშუალებით.

აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა შემდეგნაირად ნაწილდება:

- შენობები - 45 წელი,
- აღჭურვილობა - 3, 5, 10 წელი,
- სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი.

3.6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულეების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულეების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

3.7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულეებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

3.8. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში
დაკავშირებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები,
თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და
სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო
გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი
ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების წაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები,
როგორც შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად
გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა
წარმადიან აქტივებში.

3.9. დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული ჩასათვლედი დამატებითი ღირებულების გადასახადი გადაეხდება
საგადასახადო ორგანოებს უფრო ადრე, ვიდრე ადგილი ექნება შემდეგ მოვლენებს (ა)
მომხმარებლებიდან დებიტორული დავალიანების ამოღება, ან (ბ) პროდუქციის ან მომსახურების
მიწოდება მომხმარებლებისათვის. დასაბრუნებელი დღე ზოგადად ამოღებადია ჩასათვლედი დღე-ს
მიმართ, დღე-ს ანგარიშგაქტურის მიღების შემდეგ. საგადასახადო ორგანოები დღე-ს ნეტო
საფუძველზე დაფარვის ნებას იძლევიან. რეალიზაციასთან და შესყიდვებთან დაკავშირებული დღე-ს
აღიარება ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნეტო საფუძველზე. როდესაც შექმნილია
დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება
დებიტორის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხით, დღე-ს ჩათვლით.

3.10. ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური
ვალდებულებებია. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე
სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და
მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა აღნიშნული
ვალდებულების დაფარვისათვის და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

3.11. ნასესხები საშუალებები

ნასესხები საშუალებების აღიარება თავდაპირველად ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური
საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

3.12. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაქტის
ხელმოწერი მეორე მხარე შეასრულებს თავის საკონტრაქტო ვალდებულებებს. მათი ასახვა ხდება
ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

3.13. ამონაგების აღიარება

არენდის შემოსავლის და გაყიდული მომსახურების აღიარება ხდება იმ სააღრიცხვო პერიოდში,
როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. გაყიდვები
ნაჩვენებია დღე-ს და ფასდათმობის გარეშე.

3.14. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება და სხვ.) დაირიცხება განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან ფიზიკური ვალდებულება განახორციელოს საპენსიო ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

3.15. ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარტოდენ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით, ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

3.16. ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები

კლასიფიკაციის გათვალისწინებით, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ან ამორტიზებული ღირებულებით.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რა თანხადაც შესაძლოა აქტივის გადაცვლა ან ვალდებულების გადახდა, ნებაყოფლობით თანაბარი ინფორმაციის მქონე ორ მხარეს შორის გაშლილი ხელის მაძილის პირობებში. რეალური ღირებულება არის ფინანსური აქტივების მიმდინარე შეთავაზების ფასი და მოქმედ ბაზარზე მოვაჭრე ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე მოთხოვნილი ფასი. იმ აქტივებისთვის და ვალდებულებებისთვის, რომლებიც აბათილებენ ერთმანეთის საბაზრო რისკს, კომპანიას შეუძლია გამოიყენოს საშუალო საბაზრო ფასი რისკის პოზიციის გაქვითვისათვის რეალური ღირებულებების განსაზღვრისას და მიუსადაგოს შეთავაზების ან მოთხოვნის ფასი სუფთა ღია პოზიციას. ფინანსური ინსტრუმენტები აღებულია საბაზრო ფასად, როგორც ის შეფასებულია მოქმედ ბაზარზე, თუკი მოცემული ფასები რეგულარულად ხელმისაწვდომია გადაცვლის ან სხვა დაწესებულებისგან და აღნიშნული ფასები წარმოადგენს რეალურ და რეგულარულად დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ საბაზრო ტრანზაქციების ღირებულებას.

იმ ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად, რომლისთვისაც არ არსებობს ინფორმაცია გარე საბაზრო ფასების შესახებ გამოიყენება სხვადასხვა შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ან მოდელები დაფუძნებული ბოლო პერიოდში დამოუკიდებელ მხარეებს შორის განხორციელებულ ტრანზაქციებზე, ან ინვესტორების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება.

შეფასების მეთოდები შეიძლება საჭიროებდეს დაშვებებს, რომელიც დაკვირვებადი ბაზრის ინფორმაციით არ დასტურდება. შენიშვნები კეთდება მსგავსი განსაკუთრებული მიზნის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მსგავსი დაშვების შეცვლა უფრო გონივრულად დასაშვებია ალტერნატივით გამოიწვევს მნიშვნელოვან სხვაობას მოგებაში, შემოსავალში, მთლიან აქტივებში ან მთლიან ვალდებულებებში.

ტრანზაქციის დანხარჯები არის ფინანსური ინსტრუმენტის შემენაზე, გამოშვებაზე ან რეალიზაციაზე პირდაპირ მიკუთვნებადი ნამატი ხარჯები. ნამატი ხარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ განხორციელდებოდა ტრანზაქცია რომ არ შემდგარიყო. ტრანზაქციის ხარჯები შეიცავს შუამავლისთვის (გაყიდვების შუამავლად დასაქმებული თანამშრომლის ჩათვლით), მრჩეველის, ბროკერისა და დილერისათვის გადახდილ მოსაკრებელს და საკომისიოს, მარეგულირებელი სააგენტოების და ფასიანი

ვლის გადასახადს, სატრანსფერო გადასახადს. ტრანზაქციის ხარჯი არ შეიცავს პრემიუმს ან ფასდაკლებას, ფინანსირების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ თუ ხარჯებს.

წელი ღირებულება არის სხვაობა ფინანსური ინსტრუმენტის პირველად აღიარების თანხასა გადახდას შორის, დამატებული დარიცხული პროცენტი და ფინანსური აქტივის შემთხვევაში გათვალისწინებული გაუფასურების დანაკარგის ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი შეიცავს პირველადი აღიარებისას განსაზღვრული ტრანზაქციის ღირებულებისა და სარგებლიანობის ვადის განსაზღვრისათვის განსაზღვრული ნებისმიერი პრემიუმის ან ფასდაკლების თანხის ამორტიზაციას საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, დარიცხული კუპონი და ამორტიზებული პრემიუმის ან ფასდაკლების ჩათვლით წარმოქმნისას მომხდარი გადასახადების ჩათვლით), ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი განცალკევებით და შედის დაკავშირებული პუნქტების მიმდინარე ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილების მეთოდი მიმდინარე ღირებულებაზე პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღებად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ფინანსური ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში განსაზღვრულ მომავალ ფულად ნაკადებს მთლიანად ადისკონტირებს ფინანსური ინსტრუმენტის მიმდინარე სუფთა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ახდენს სხვადასხვა საპროცენტო ინსტრუმენტების შემდეგ პროცენტის გადაფასების თარიღამდე დისკონტირებას, გარდა პრემიუმის ან ფასდაკლებისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის მცურავ კურსზე და სხვა ცვლადებზე, რომელიც არ სწორდება საბაზრო განაკვეთით. მსგავსი პრემიუმის და ფასდაკლების ამორტიზება ხდება ინსტრუმენტის მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გამოთვლა გულისხმობს კონტრაქტის მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა გადასახადებს, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

3.17. ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები ხვდება სესხების და მოთხოვნების განსაზღვრის კატეგორიაში. სესხები და მოთხოვნები არის არადერივატიული ფინანსური აქტივები ფიქსირებული და განსაზღვრული გადახდებით, რომელიც მოქმედ ბაზარზე არ არის შეფასებული. აღნიშნული ფინანსური აქტივები ბალანსის თარიღიდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში დაფარვის ვადით შედის მიმდინარე აქტივებში, 12 თვის ზემოთ - გრძელვადიან აქტივებში.

კომპანიის მთლიანი ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია, როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აღიარებულია ამორტიზებული ღირებულებით.

3.18. ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას ყველაზე კარგად ასახავს ტრანზაქციის ფასი. სარგებელი ან დანაკარგი თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ მაშინ თუ არსებობს სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს მსგავს ინსტრუმენტებზე სხვა მიმდინარე საბაზრო

დაკვირვებით, ან შეფასების მეთოდით, რომლის შემავალი მონაცემები შეიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრებიდან.

აქტივის ყველა შესყიდვა, ან რეალიზაცია, რომელიც მოითხოვს აქტივის გარკვეული დროის განმავლობაში მიწოდებას დაწესებული რეგულაციით ან ბაზრის პირობებით (ვაჭრობის მიღებული წესი), რეალიზაციის/შესყიდვის თარიღით, კერძოდ თარიღით, როცა კომპანია აიღებს გადასახადებს შეიძინოს ან გაყიდოს აქტივი. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება იმ თარიღით როდესაც ბაზარი გახდება ინსტრუმენტის ხელშეკრულების ვალდებულების მხარე.

3.19. ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ა) მოხდება აქტივის გამოსყიდვა, ან აქტივისგან მისაღები ფულადი ნაკადები სხვა მიზეზით ამოიწურება; ბ) კომპანიამ გადასცა აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების უფლება ან შევიდა შუამავლის გარიგებაში, როდესაც 1) ასევე გადასცემს აქტივის ფლობის სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს, ან 2) არც გადასცემს, მაგრამ არც იტოვებს სარგებლის და რისკების მნიშვნელოვან წილს, მაგრამ ასევე უარს ამბობს კონტროლზე. კონტროლი ნარჩუნდება იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარეს არ აქვს უფლება მთლიანი აქტივის მესამე პირზე რეალიზაციის, რეალიზაციაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესების გარეშე.

3.20. ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება ხდება მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდში მომხდარი ერთი ან რამდენიმე მოვლენით („დანაკარგის მოვლენები“), რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფისგან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობაზე ან ვადებზე და შეიძლება ამის საიმედოდ განსაზღვრა, გამოწვეული გაუფასურების დანაკარგები აღიარდება მოგება-ზარალზე მათი მოხდენის პერიოდში. თუ კომპანია დაასკვნის, რომ არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის გაუფასურების მოხდენის ობიექტური მტკიცებულება, იქნება ეს მნიშვნელოვანი თუ არა, იგი შეიყვანს აღნიშნულ ფინანსურ აქტივს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე აქტივების ჯგუფში და მოახდენს მათ ჯგუფურ ტესტირებას გაუფასურებაზე. ფინანსური აქტივის გაუფასურების შესამოწმებლად კომპანიის მიერ ძირითადად გამოყენებული ფაქტორები არის მისი ვადაგადაცილებულობის სტატუსი და მისი შესაბამისი უზრუნველყოფის, ასეთის არსებობის შემთხვევაში, სანდოობა. ფინანსური აქტივის გაუფასურების შემოწმების სხვა ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს:

- დავალიანების გარკვეული ნაწილი ვადაგადაცილებულია და ვადაგადაცილება არ არის გამოწვეული გადახდის სისტემის დაყოვნებით. მეორე მხარე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, როგორც ეს ჩანს კომპანიის მიერ მოპოვებული ფინანსური ინფორმაციით;
- მეორე მხარე განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის ვარიანტს;
- სახეზეა მეორე მხარის მიერ გადახდების სტატუსის მნიშვნელოვანი გაუარესება ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებების შედეგად, რომელსაც გავლენა აქვს მეორე მხარეზე; ან
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის პირობების მნიშვნელოვანი გაუარესების შედეგად.

თუკი მოხდა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობების გადახედვა ან სხვაგვარად მოდიფიკაცია მეორე მხარის ფინანსური სირთულეების გამო,

გამოითვლება პირობების ცვლილებამდე არსებული თავდაპირველი ეფექტური განაკვეთით.

საბალანსო დანაკარგი ყოველთვის აღიარდება სარეზერვო ანგარიშზე აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომელიც არ შეიცავს მომავალ საკრედიტო რეზერვებს, რომელიც ჯერ არ მომხდარა) აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო სიხშირით დისკონტირებულ ღირებულებამდე ჩამოსაწერად. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების გამოთვლა მოიცავს უზრუნველყოფილი აქტივისგან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, გამოკლებული მისი მიღების და რეალიზაციის დანახარჯები, იმის მიუხედავად არის თუ არა უზრუნველყოფილი აქტივის მოსალოდნელ რეალიზაცია.

ესი შემდგომ პერიოდში მოხდება გაუფასურების ზარალის შემცირება და ეს შემცირება შეიძლება საიმედოდ მიეკუთვნოს გაუფასურების ზარალის აღიარების შემდგომი პერიოდის მოვლენას (როგორცაა დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესება), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მოხდება სარეზერვო ანგარიშის დაკორექტირებით წლის მოგება-ზარალზე.

უიმედო აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების დანაკარგის რეზერვის ანგარიშზე აქტივის აღდგენისათვის ყველა საჭირო პროცედურის დასრულების და დანაკარგის მოცულობის განსაზღვრის შემდეგ. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა დაკრედიტდება გაუფასურების დანაკარგის ანგარიშზე წლის მოგება-ზარალზე.

3.21. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

ჯგუფი ახორციელებს შეფასებებსა და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა კომპანიის ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განვითარებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა,

დაგეგმულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და გ) პირობებით განპირობებული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება.

უწყებების პრინციპი. ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება მოამზადა საწარმოს უწყებების პრინციპის მიხედვით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

საანგარიშგებო პერიოდში ძალაში შესული შესწორებები ფასს-ში

საუზმა პირველად გამოიყენა შემდეგი სტანდარტები და შესწორებები 2018 წლის 1 იანვრისთვის დაწესებული ყოველწლიური საანგარიშო პერიოდისთვის:

ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები

2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებულმა ფასს 9 შემოიღო ახალი მოთხოვნები ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და შეფასების შესახებ. ფასს 9, რომელიც შემდგომში შესწორდა 2010 წლის ოქტომბერში, მოიცავს კლასიფიკაციის და ფინანსური ვალდებულებების შეფასების და აღიარების გაუქმების თაობაზე მოთხოვნებს, ხოლო 2013 წლის ნოემბერში - ჰეჯირების ზოგადი აღრიცხვის ახალ მოთხოვნებს. ფასს 9-ის კიდევ ერთი შესწორებული ვერსია გამოიცა 2014 წლის ივლისში, ის ძირითადად შეიცავდა ა) გაუქმების მოთხოვნები ფინანსური აქტივებისთვის და ბ) შეზღუდული ცვლილებები კლასიფიკაციის და შეფასების მოთხოვნებთან დაკავშირებით, გარკვეული მარტივი ვალის ინსტრუმენტებისთვის 'სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში' (FVTOCI) შეფასების კატეგორიის შემოღებით.

ფასს 9-ის ძირითადი მოთხოვნები:

- ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი, რომელიც მოცემულია ფასს 9-ის ფარგლებში, მოგვიანებით უნდა შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით. კერძოდ, სავალო ინვესტიციები ბიზნეს მოდელის შიგნით, რომლის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება, და რომლებსაც აქვთ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, და განკუთვნილია მხოლოდ ძირითადი დავალიანების და პროცენტის გადახდისთვის, ზოგადად ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით შემდგომი სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს. სავალო ინსტრუმენტები ბიზნეს-მოდელის შიგნით, რომლის მიზანია როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვა, ასევე მათ აქვთ სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც განსაზღვრულ თარიღებში განაპირობებენ ფულადი სახსრების ნაკადების წარმოშობას, განკუთვნილია ძირითადი დავალიანებისა და პროცენტის და როგორც წესი მოსი შეფასება ხდება FVTOCI- ში. ყველა სხვა სავალო ინვესტიცია და კაპიტალის ინვესტიციები ფასდება მათი სამართლიანი ღირებულებით, მომდევნო სააღრიცხვო პერიოდების ბოლოს. ამასთან, ფასს 9-ის მიხედვით, კომპანიებს შეუძლიათ გააკეთონ შეუქცევადი არჩევანი სააქციო კაპიტალის ინვესტიციის რეალური ღირებულების შემდგომი ცვლილებების შესახებ (რომელიც არ არის განკუთვნილი ვაჭრობისთვის და არც შემსყიდველის მიერ აღიარებული შესაძლო ჯილდოსთვის ბიზნესის კომბინაციისას, რომელზეც ვრცელდება ფასს 3) სხვა სრულ შემოსავალში, მხოლოდ დივიდენდის შემოსავლის სახით, რომელიც ზოგადად აღიარებული როგორც მოგება ან ზარალი.
- რაც შეეხება მოგების ან ზარალის მეშვეობით რეალური ღირებულებით განსაზღვრული ფინანსური ვალდებულებების შეფასებას, ფასს 9 ით მოითხოვს, რომ ფინანსური ვალდებულების სამართლიანი ღირებულების ცვლილების ოდენობა, რომელიც მიეკუთვნება ამ ვალდებულების საკრედიტო

ცვლილებებს, წარმოდგენილ იქნეს სხვა ყოვლისმომცველ შემოსავალში, თუ სხვა სრულ მოსავალში ასეთი ცვლილებების აღიარება არ შექმნის ან არ გაზრდის აღრიცხვის შეუსაბამობას მოგებასა და ზარალში. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკისადმი მიკუთვნებული სამართლიანი ღირებულების ცვლილებები შემდგომში არ არის კლასიფიცირებული როგორც მოგება ან ზარალი. ბასს 39-ის (IAS 39) თანახმად, ფინანსური ვალდებულების სამართლიან ღირებულებაში ცვლილების მთელი თანხა, რომელიც აღნიშნულია როგორც სამართლიანი ღირებულება მოგების ან ზარალის მეშვეობით, წარმოდგენილია მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებით, ფასს 9 მოითხოვს მოსალოდნელი კრედიტის ზარალის მოდელს, განსხვავებით ბასს 39-ის მიხედვით წარმოქმნილი საკრედიტო ზარალის მოდელისგან. სავარაუდო საკრედიტო ზარალის მოდელი მოითხოვს, რომ კომპანიამ გაითვალისწინოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და ცვლილებები ამ მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში თითოეულ საანგარიშგებო თარიღზე, რათა ასახულ იქნეს საკრედიტო რისკის ცვლილებები, საწყისი აღიარების დღიდან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აღარ არის აუცილებელი, რომ საკრედიტო მოვლენა მომხდარიყო საკრედიტო ზარალის აღიარებამდე.

